



თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 113

„15“ დეკემბერი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის შ.პ.ს.
„ფრინეტთან“ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის
გამგებელს, რათა მან დადოს ხელშეკრულება შ.პ.ს. „ფრინეტთან“ (საიდენ.კოდი
№431166793) თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებულ გარე განათების კონსტრუქციებზე 2 (ორი) წლის ვადით ოპტიკურ
ბოჭკოვანი კაბელის დამაგრებაზე (სოფელ შალაურის დასაწყისიდან სოფელ აკურის
ბოლომდე, საავტომობილო გზის მხოლოდ ცენტრალური მონაკვეთი, 1 გრძივი
კილომეტრი 15 ლარი).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ
სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქალაქი თელავი,
დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature

პაატა გიორგობიანი